V კლასი

1. დათოს ჰქონდა 18 კანფეტი, 5 მისცა ლიას. კანფეტების საერთო რაოდენობის რა ნაწილი მისცა ლიას?

ა) $\frac{5}{13}$ ბ) $\frac{5}{18}$ გ) $\frac{13}{5}$ დ) $\frac{18}{5}$

2.

$$\frac{5}{16} - \frac{3}{16} =$$

ა) $\frac{2}{0}$ ბ) $\frac{2}{16}$ გ) $\frac{8}{16}$ დ) 2

3. კარგად დააკვირდი ნახატს.



თუ გადავაადგილდებით უჯრიდან, სადაც მაკრატელია, ერთი ერთეულით ზემოთ და სამი ერთეულით მარჯვნივ, რომელ საგანთან აღმოვჩნდებით? შემოხაზე პასუხი.

ა) ტელეფონთან ბ) კომპიუტერთან

გ) წიგნთან დ) ღიმილაკთან

4. $3\frac{4}{7}$ იკითხება შემდეგნაირად:

ა) ოცდათოთხმეტი მეშვიდედი

ბ) ოთხი ოცდამეჩვიდმეტედი

გ) სამი მთელი ოთხი მეშვიდედი

დ) სამი მთელი შვიდი მეოთხედი

LIVEWORKSHEETS

5. კვადრატი გაჭრეს სამად ისე, როგორც ნახაზზეა ნაჩვენები:

როგორი სამი სამკუთხედი მიიღეს?

ა) სამი მართკუთხა სამკუთხედი

ბ) სამი ბლაგვკუთხა სამკუთხედი

გ) სამი მახვილკუთხა სამკუთხედი

დ) ორი მართკუთხა და ერთი მახვილკუთხა სამკუთხედი

6. ნახაზზე გამოსახული ფიგურები ერთნაირი მართკუთხედებითაა შედგენილი:



რომელი წინადადებაა სწორი:

ა) ამ ფიგურებიდან ყველაზე დიდი ფართობი მესამე ფიგურას აქვს

ბ) მესამე ფიგურის ფართობი მეტია პირველი ფიგურის ფართობზე

გ) პირველი და მესამე ფიგურების ფართობები ტოლია

დ) მეორე და მესამე ფიგურების ფართობები ტოლია

LIVEWORKSHEETS

7. შეადარე წილადები, ჩასვი ცარიელ უჯრაში < ან > ნიშანი

$\frac{2}{3} \square \frac{1}{3}$

8. ქვემოთ მოცემული სურათის მიხედვით გაარკვიე, რიცხვების რომელი წყვილი შეესაბამება ეიფელის კოშკის მდებარეობას:



ა) (4; 4)

ბ) (3; 3)

გ) (3; 4)

დ) (4; 3)

9. რომელ ნახაზზეა გამოსახული წრეწირის დიამეტრი?

ა)

ბ)



გ)



დ)



LIVEWORKSHEETS

10. ჩამოთვლილთაგან რამდენი წილადია წესიერი?

$\frac{5}{7}$; $\frac{7}{7}$; $\frac{8}{7}$; $1\frac{1}{7}$

ა) არცერთი

ბ)1

გ) 2

დ)3

LIVEWORKSHEETS